

**საქართველოს ორგანული კანონი**

**„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 75) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:

„1<sup>1</sup>. თუ კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქმის სასამართლოში განხილვისას, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტისას, აკრძალულია პროცესის მონაწილეთა (პროკურატურის მუშაკი, ადვოკატი, სხვა პირი) ან სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმით დაინტერესებულ პირთა ნებისმიერი ფორმით მოსამართლესთან ისეთი ურთიერთობა ან ურთიერთობის მცდელობა, რაც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვა-გადაწყვეტასთან ან რომელიც არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პროცესის მონაწილეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ასევე მიზნად ისახავს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევას ან მასზე ზეგავლენის მოხდენას.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მიხეილ სააკაშვილი**